

სასოფლო-გაზეთი

საქართველოს
საქართველოს

გაზეთის ფასი:

თბილისში	ბაზუზავენლოთ:
გარეშე ადგილებში:	მან.
წლის წლისა — 4 მან.	— 3
წლის წლისა — 3 —	— 2
წლის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

გაზეთის ფასი

გამომცემის შტაბით.

სასოფლო-გაზეთის გამომცემის

თბილისის „სასოფლო-გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მედიკინის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, თ. ბებუთაშვილის სახლში, პოლიციის გვერდით. თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисе, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-и.

შევალ გვარი განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თბილისში, მედიკინის და კამპ. სტამბაში.

№ 18. შაბათი.

II.

20 სექტემბერს 1869 წ.

შინაარსი:

მედიკალური ნაწილი. — შინაგანი ცნობი. — სამეცნიერო ნაწილი: მზისა და მთვარის დაბნელება. — სამეურნეო ცნობები. — სახალისო ცნობები. — შალი სწავლა სპარსეთში. — და სხვა ამბავი. — ლექსები: „შრომის ქება“, „ხალისი დროს ოცნება“. — შინა-ტელეგრაფი. — სახალისო ცნობები.

ОФИЦАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ.

О леченіи роиатаго скота отъ болѣзни „Ящуръ“

Болѣзнь ящуръ, хотя и не очень опасна, какъ слѣдствіемъ оной въ больной скотинѣ являются боли во рту, то животное, лишенное возможности принимать пищу, умираетъ не только отъ одержимой болѣзни, сколько отъ голода. Самая же болѣзнь, излечивается простыми средствами, если только таковыя будутъ современно преподаны. Болѣзнь обыкновенно зарождается отъ недостатка воды, недостатка корма и отъ рѣзкаго перехода отъ жары къ холоду и обратно; она является въ двухъ видахъ: собственно въ формѣ ящура и въ повальной хромотѣ. Но часто оба вида этой болѣзни встрѣчаются въ одной и той же скотинѣ.

Признаки 1-го вида болѣзни—ящура: скотина перестаетъ ѣсть и часто пьетъ, но обильно слюнитъ. Сильно слюнитъ, а на языкѣ, сверху или на бокахъ онаго, образуются широкіе пузыри, верхняя кожа которыхъ

очень скоро слѣзаетъ, послѣ чего на языкѣ остаются язвы различной формы съ краснымъ дномъ; при этомъ въ скотинѣ обнаруживается жаръ или горячка; послѣдняя легко опредѣляется при одновременномъ изслѣдованіи рукою внутренности рта больной и здоровой скотины, такъ какъ у первой внутренность рта всегда бываетъ гораздо теплѣе, чѣмъ у послѣдней.

Леченіе этого перваго вида болѣзни—ящура слѣдующее: на четыре бутылки воды нужно взять четыре горсти муки, или щепичныхъ отрубей, съ такимъ же количествомъ соли и все это, перемѣшавъ хорошенько съ водою, вливать въ горло больной скотины четыре раза въ день, по одной бутылкѣ каждый разъ; послѣ каждого приѣма слѣдуетъ обмывать ротъ больной скотины водою, смѣшанною съ уксусомъ; мѣста же на языкѣ, съ коихъ слѣзла кожа, нужно натирать солью съ толченымъ чеснокомъ, два раза въ день; или же—взять полстакана меду, двѣ ложки уксусу, или полъ стакана квасу, одну головочку чеснока толченаго и щепоть имбирю и, смѣшавъ все это вмѣстѣ, составомъ этимъ смазывать языкъ; этотъ послѣдній составъ признается лучшимъ и болѣе дѣйствительнымъ, чѣмъ первый, т. е. смѣсь чеснока съ солью. Изъ этого же послѣдняго состава можно приготовить составъ густоты каши и, вложивъ оный въ особый мѣшечекъ, класть на языкъ больной скоти-

ны, а чтобы мѣшечекъ этотъ не выпадалъ, то къ сторонамъ онаго пришить веревочки, которыя и привязывать къ рогамъ скотины. Большую скотину слѣдуетъ кормить мукою, разболтанною въ водѣ и поить теплою водою.

Признаки втораго вида болѣзни—въ формѣ хромоты, обнаруживаются тѣмъ, что заболѣвшая скотина больную ногу держитъ поднятою и, при ощупываніи, копыто больной ноги окажется замѣтно теплѣе копыта ноги здоровой. Больное копыто послѣ нѣкотораго времени слѣзаетъ, но до того еще обыкновенно показываются нарывы между навѣшникомъ и большимъ копытомъ, т. е. сверху надъ копытомъ, или въ щели между копытами.

Леченіе этого вида болѣзни производится слѣдующимъ образомъ:

Больное горячее копыто окладывается коровьимъ пометомъ и завязывается тряпкой; послѣ чего повязка эта поливается холодною водою, два раза въ день, по утру и вечеромъ и каждый разъ—неменѣе двухъ часовъ времени; или же вгоняютъ больную скотину въ рѣчку, тоже по два раза въ день, гдѣ каждый разъ слѣдуетъ продерживать скотину также не менѣе двухъ часовъ времени. Обмазываніе коровьимъ пометомъ больного копыта и обливаніе онаго холодною водою продолжается до тѣхъ поръ, пока жаръ въ больномъ копытѣ не пройдетъ.

Проявляющіяся сверху надъ страдающимъ



копытомъ раны присыпать сженными квасцами одинъ разъ въ день, а пузыри разрѣзывать острымъ ножемъ и, тщательно выдавивъ матерію, смазывать эти мѣста нефтью.

Мѣры предосторожности.

Больной скоть слѣдуетъ тотчасъ отдѣлять отъ здороваго и тщательно смотрѣть, чтобы слюна больной скотины не попала на кормъ, приготовленный для скотины здоровой; въ противномъ случаѣ послѣдняя легко можетъ также заразиться.

По прекращеніи болѣзни, стойло, гдѣ находилась больная скотина, должно быть тщательно вычищено, а ясли и вообще всѣ тѣ мѣста, къ коимъ могла прикасаться слюна больной скотины, слѣдуетъ вымыть горячою водою съ золою (щелокомъ) и побѣлить извѣстью; оставшійся же кормъ больной скотины — сжечь.

И. Д. Губернскаго врача В. Карповичъ.

ოზიციალური ნაწილი.

თურქულით ავთამყოფი პირუტყვის წამლობა.

თუმც თითონ თურქულა მაგდნათ საშიშრო არ არის საქონლისათვის, მაგრამ ამ ავთამყოფობის დროს გამოუდის ხოლმე ხახაში პირუტყვის იარები და ამის გამო ის საკვებს ვერა სკამს და ხშირათ შიმშილითა კვდება. თურქულა ადვილი მოსარჩენია, თუ თადარიგი დაიჭირა კაცმა და დროზე მიეშველა.— თურქულა ჩნდება ხოლმე წყლის ნაკლულობისაგან, ერთობ მაგარი საკვებისაგან და უეცრათ ჰავრის შეცვლისაგან; ეს ავთამყოფობა ორნაირია: თურქულა და სიკოკლე, მაგრამ ეს ორი ჭირი ხშირათ ერთსა და იგივე პირუტყვს ემართება.—

თურქულის ნიშნები შემდეგნი არიან:

პირუტყვი საქმელს არ იკარებს, ხშირათ, მაგრამ ცოტ-ცოტას, სვამს და ბევრი დორბლი მოსდის პირიდან; ენაზე უჩნდება ამ ნაირ ავთამყოფ პირუტყვსა თეთრ თავიანი მუწუკები, რომლებსაც ზედ ტყავი მალე სძვრება და დარჩება წითელ ფესვიანი იარები. ამ დროს პირუტყვი ძალიანა ჰხურს, რომელიც ადვილათ შეიტყობა შედარებით, კარგათ და ავთამყოფ პირუტყვს რომ გაუშინჯოთ ხე-

ლით ხახა; ავთამყოფის ხახა ყოველთვის უფრო მხურვალეა, ვიდრე კარგათ მყოფისა.—

თურქულიანი პირუტყვის წამლობა შემდეგია:

უნდა აიღო ოთხი ბოთლი წყალი, ოთხი მუჭა ფქვილი, ან ქატო და ამდონივე მარილი; ყველა ესენი აურიე ერთათ და დღეში ოთხჯერ, თითო ბოთლი, ჩაასხი ხახაში ავთამყოფს პირუტყვსა. წამლის დაღვივების შემდეგ ყოველთვის უნდა გამოჰბანოთ პირუტყვს ხახა ძმრითა და წყლით; ენაზე, სადაც იარები აქვს, უნდა წააცხოთ მარილში ერთათ არეული დანაყილი ნიორი; ანა და აიღეთ ნახევარი სტაქანი თაფლი, ორი კოვზი ძმარი, ერთი თავი დანაყილი ნიორი და ცოტა კოქა, აურიეთ ყველა ესენი ერთათ და წააცხეთ მერე ენაზე; ეს უკანასკნელი წამალი ენისათვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე მარტო ნიორი და მარილი.— შეიძლება ამ ნაირათ სქლათ შეზავებული წამალი გამოხვიოთ პატარა ტომარაში და ისე დაადოთ ენაზე; მაგრამ რომ არ გამოვარდეს პირიდან, ტომარას ძაფი გამოაბით ორივე მხრისკენ და რქებზე მიაკარით.

ავთამყოფი პირუტყვის საკვებათ ყველაფერს წყალში არეული ფქვილი სჯობია და სასმელათ თბილი წყალი უნდა მისცეთ.—

ზადასადები სიკოკლით ავთამყოფობა შეეცობა პირუტყვს მით, რომ ავთამყოფი ფეხი იმას ყოველთვის აწყული აქვს, მიწაზე არ ადგამს; ხელი რა მოჰკიდოთ ამ ფეხის ჩლიქს, შეატყობთ, რომ ის ყოველთვის უფრო მხურვალეა, ვიდრე კარგათმყოფი ფეხის ჩლიქი. ნატყენს ფეხზე რამდონიმე ხნის შემდეგ ჩლიქი ავარდება; ავარდნამდი კი ჩლიქს ზევით და ჩლიქსა და ჩლიქს შუა პირუტყვს გაუჩნდება მუწუკები.—

სიკოკლის მოსარჩენათ აი რა ნაირათ უნდა მოიქცეთ:

უნდა შამოადვით ნატყენს ჩლიქზე ფურის განავალი ცხლათა და ისე უნდა შეუხვიოთ მჩვართ; ამას გარდა ყოველ დღე დილასა და საღამოს, ორი საათის განმავლობაში, უნდა ასხათ ცივი წყალი ამ ნატყენს ჩლიქზე, ან და შერეკეთ ავთამყოფი პირუტყვები წყალში და იქ გააჩერეთ ორი საათი. შურის ნეხვი მანამდინ უნდა ადვით ფეხზე პირუტყვს და წყალიც მანამდინ უნდა ასხათ, სანამ სიმხურვალე არ გაუელის.—

ჩლიქებს ზევით თუ იარებლად ექვსა უნდა მოაყაროთ ამ იარებზე დღეში ერთხელ დამწვარი შაბი. დამწიფებული მუწუკები კი გასკრით მჭრელი დანით, ბაყლი კარგათ ამოსწურეთ და ზედ ნავთი წააცხეთ.—

ავთამყოფი საქონელი იმ წამსვე უნდა მოაშოროთ კარგათ მყოფებსა და კარგათ უნდა ადვენოთ თვალ-ყური, რომ იმის ნერწყვი (დორბლი) არ დაეცეს კარგათმყოფი საქონელის საკვებს, თორემ ამ უკანასკნელსაც უთუოთ დავმართება თურქულა.—

ჭირის მოსპობის შემდეგ ბაგა და საზოგადოთ ყველა ის ადგილები, საცა კი დაეცემა ავთამყოფი პირუტყვის დორბლი, უნდა გაირეცხოს ცხელი წყლითა და ნაცარ-ტუტით და კირით უნდა შეილესოს. ჭირიანი პირუტყვისაგან დარჩენილი საკვები კი უნდა დაწვათ.—

ზუბერნიის ექიმის თანამდ. აღმასრ. მ. ძარპოვიჩი.

შინაგანი ცნობები.

ჭუთაისის გუბერნატორის განკარგულება: „მერმის მისში იქნება, შმალღესი ნებართვით, პეტერბურღში „ხელთნასაქმარი ნიეთების გამოფენა“ (ВЫСТ. МАНУФАКТ. ПРОМЫШЛЕННОСТИ). შაუწყებ რა ამაზედ, ძაეკაზიის სამეურნეო საზოგადოების“ განცხადებისა გამოჭუთაისის გუბერნიის უეზდის ნაჩაღნიკებს და პოლიციიმისტრებს, ვაძლეე წინადადებას მიიწვიონ ხალხი ამ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთანავე იგზავნება თითო-გზემპლიარი ზემოხსენებული გამოფენის კანონებისა და იმათი დამატებებიც“.

როგორც შევიტყეთ სარწმუნოთ შართლში ამ ჟამათ ხორბალი ფასობს კოდი ოთმანეთათ, ქერი სამათ. შართლის კოდი ქალაქის ოთხ ფუთს უდრის, მაშასადამე შართლში ადგილობრივათ ისე იყიდება პური, როგორც ქალაქში; აქ ახლა ფასობს შუათანა ფქვილ ფუთი ხუთ—ექვს აბაზათა. ჩვენ შევიტყეთ რომ შართლიდგან გლენები მებთერწასულა მრეენისა და ზუმბრისკენ (აღექსანდროპოლისკენ) პურის სასყიდლათა, რადგანაც ადგილები გათქმულნი არიან პურის მოყ



ნითა. ქალაქში ეს ამბავი ეჯავრებათ, რადგანაც უეჭველათ პურის ფასი აიწევს; ყველამ იცის რომ ქალაქში პური მრევნიდგან და მუმბრიდგან მოდის. მაგრამ ჩვენ ძალიან ჰკვიანურათ მიგვაჩნია გლეხების ამ გვარი გამგზავრება და დროთივე თადარიკის დაჭერა. ძალიან კარგი იქნება, რომ პურის სასყიდლათ სოფლით სოფელმა ერთ-თ კაცები დაიჭიროს და ისე აყიდინონ საერთოს მთელის სოფლისათვის; ვისაც ყიდვა უნდა ამ გვართ უფრო გაუადვილდებათ მგზავრობაც და ერთიანათ ყიდვაშიაც უფრო ნაკლებ ფასათ იყიდინან.

ზაქათალის მაზრაში ვაჩენილა ყვეილი და სოგიერთ სოფლებს კიდევაც გვარიანათ მოსდებია. მაგრამ სიკვდილით კი რამოდენიმე კაცის მეტი არ მოუკლავს. —

სენეთის კომისიის მღვდელი მ. მჭედლიძე იწერება სენეთიდან, რომ ამ წლის ივლისის დასასრულს იქ მისულა ჯარით მკითხვის სამხედრო გუბერნატორი ზრ. ლევაშოვი მხარის დასამშვიდებლათ. მაგრამ, როგორც სჩანს მ. მჭედლიძის სიტყვებიდან, იქ მშვიდობიანათ გათავებულა საქმე და არც ჯარი უხმარია გრ. ლევაშოვს; დაუტუსადებიათ მხოლოდ რამდენიმე აბრეგები, რომლებიც ხალხის თავდებობის ქვეშ ისევე გაუთავისუფლებიათ. ამას გარდა გრ. ლევაშოვს გაუხსნია პირველ-თ სოფ. ძალს და შემდეგ სხვა სოფლებშიაც სოფლის სასამართლოები და დაუდგია მცხოვრებლებისთვის კანონიერი ხარჯი. სოფლის საზოგადოებები გაუხსნია ძალს გარდა შემდეგ სოფლებში: შუკულს, ცერიმისს, მულახს, მესტს, ლატალს, ბეჩოსს, მტერს, შარს და თავარას; გრ. ლევაშოვს დაუდგია ყველა ეს სოფლები, ყველგან შეუყრია ხალხი, აუხსნია მათთვის ახალი წესდებულებები და დაურიგებია მამასახლისებისა და მოსამართლეებისთვის მათი თანამდებობის ნიშნები; ხარკის დადებაზე ხალხი, მ. მჭედლიძის სიტყვით, არ სად არ დარჩენილა უკმაყოფილოთ, ასე რომ საქმე სრულებით მშვიდობიანათ გათავებულა. — მსევე კორრესპონდენტი გვეწერს, რომ აქ ბატონ-ყმობის საქმეც კარგათ მიდისო: დაწესებულებისამებრ, მებატონეები დიდის კმაყოფილებით აძლევენ გლეხებს სახლს, სამოსახლო ადგილით — ეზოთი და ოთხ ქვე-

ვა სახნავ ადგილსა. — ვ-ს აგვისტოს გრ. ლევაშოვი წამოსულა თავის ჯარით სენეთიდან.

შ. მედვინეთხუცესოვი იწერება ქართლიდან, რომ იქ — საკვირველად ემდურებიან წლევენდელს მოსავალს და ციებ-ციხელეობას; აქაურნი მცხოვრებნი, ვისაც ჰკითხავთ, ყველა გეტყვისთ, რომ შარხანდელზედ წლეულს ძალიან ნაკლებათ მოამივიდა ჰირხანულიო; ამის გამო პური და ქერი გაძვირდა ქართლში. საშინელია გვალვამ და სიციხეებმა წახანდინა ნამუშავეარი და გააჩინა ზემო თქმული სწყულება; ზოგნი ჩივიან „ამ ციებ-ციხელებით ჩვენ სოფელში ბევრია ავათ, არა გვეშველარაო, ერთი მორჩება-მეორე გახდება ავათაო; მაგრამ, მაღლობა ღმერთსა, სიკვდილით კი ზარალი არა გვაქვს რა; ვინც წამალს მალე დაუწყებს სმას, მალეც მორჩება“.

შამახიდან იწერებიან ძავეაზში აგვისტოს 22-ს, რომ აქ გუშინ ვ საათზე ისეთი მიწის ძერა ყოფილა, რომ არავის ახსოვს ამ გვარიო; თითქმის 1859-შიაც არა ყოფილა ასე ძრიელიო. თუმცა ახლანდელი მოკლე ხანს ყოფილა, სულ 10 სექუნდს, (1859 წ. 30 სექუნდის განმავლობაში იყო), მაგრამ მაინც დიდი ზიანი მისცემია ქალაქს. მომატებული ნაწილი შენობებისა სულ დაზიანებულია. რუსების ნაწილი, რომელსაც მალაკნის სლაბოდკას ეძახიან, და სომხისა უფრო მომატებულათ დაზიანებულია. მაღლობაზე გაშენებული ქალაქის შენობები ნახევარზე მეტი დაქცეულია თურმე. ჩინოვნიკობა სულ რუსის ნაწილში სცხოვრობდნენ და ახლა გამოსულან და ზოგი ქალაქის ბაღში სცხოვრებს კარებში, ზოგს ხელათ აუშენებიათ ქოხები და შიგ დამდგარან. ტელღერაფის აპპარატიც გაფუჭებულია ჩამონგრეული კედლისაგან და ისიც კარავში სდგას. — ზამთარი მოახლოებულა და სახლების მოვნა, რასაკვირველია, ძალიან საჭიროა ყოველი აქაური მდგმურისთვის; მართალია, საცა თათრები დგანან, იქ მაგრე რიგათ არ დაზიანებულან სახლები, მაგრამ იქ კაცი სადგომ სახლს ვერ იშოვის. — თუმცა ჯერ არ გამოუკვლევიათ სრულათ ზიანი, მაგრამ ის კი იციან, რომ ერთი ოთხი წლის ყმაწვილი და სამი ცხენი დაუტანია სახლის დაქცევის დროს. — შარშემო სოფლებშიაც ყოფილა მიწის ძერა, მართს სო-

ფელში სუნდში, რომელიც შამახის მხარეში ვერსზეა აღმოსავლეთისაკენ, სახლები სულ დაქცეულა და ორი კაციც დაუტანია. —

25 აგვისტოს ყოფილა შოთში სადილი და რკინის გზაზედ გამოუტლიათ გავლა. ამ დროს ბრატ ლევაშოვს უთქვამს, რომ მომავალი წლის პირველი მაისისათვის მკითხისიდან შოთამდინ რკინის გზა სრულებით მზათ იქნებაო. მიწის მუშაობა, როგორც ამბობდნენ, იქ ძალიან ჩქარა მიდის, მაგრამ რკინის ხიდების დაყენება აჭირებს საქმეს. —

ს ა მ ე ს ნ ი მ რ ო ნ ა წ ი ლ ი.
მზისა და მთვარის დაბნელება.

მის არ ახსოვს-რა ამბავი იყო ჩვენში უკანასკნელი (1853 წ.) მზის დაბნელების დროს! თუმცა წინათვე იყო გამოცხადებული, რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ რიგათ დაბნელება მზეო და ამისაგან არაფერი უბედურება არ მოხდებოდა, მაგრამ ხალხი მაინც ყველგან არა და შიშით თითქმის ყველას სულიწმინდობდა. ზოგი ამბობდა — მეორეთ მოსვლამ მოაწაო და ყველანი უნდა დაეხიოცნეთო, ზოგი ამტკიცებდა, რომ ყველა ორსულ ქალებს ორ-ორი შვილი ეყოლებათო, ზოგი ამბობდა, რომ მზე იმითომ ბნელდება, რომ ჯორმა რაში უნდა დაბადოსო და სხვა ათასს რასმე ამბობდნენ ხალხში; მახსოვს-ერთმა დაქნილმა ვაჭარმა დაადგო მაშინ ხმა, რომ ქათმებს წელებში გველები გაუჩნდებაო; რასაკვირველია, ამის გამო კაცი აღარ იკარებდა იმათ და თითო, ორ-ორ შაურათ ჰყიდიდნენ დედლებს; ვაჭარმა მოუსვა ხელი და სადაც კი ნახა ქათმები, ყველგან იყიდა თითქმის უფასოთა და მზის დაბნელების შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ ქათმებში არავითარი გველები არ სცხოვრობენ, სამი-ხუთი თავის ფასათ გაჰყიდა და კიდევაც გამდიდრდა თითქმის ამ ხალხის ცრუ-მორწმუნებისაგან. — ჩვენი ხალხი რომ იმდენათ ამოთ-მორწმუნე არ ყოფილიყო და სცოდნოდა — რის გამო და როგორ იქნებოდა მზის დაბნელება, მაშინ, რასაკვირველია, არც ისე შეშინდებოდა და არც იმოდენა ზიანს მისცემდა თავის თავსა.

სწავლეულები დიდი ხანია სწერენ, რომ მზისა და მთვარის დაბნელებაში არაფერი სასწა-



ული არ არის, რომ ის მოხდება იმ ნაირივე ბუნების კანონით, როგორც, მაგალითათ, ოთახში დაბნელება, როცა სანთელს ხელს ჩამოაფარებთ.

ახლა მოგიყვებით როგორ ხსნიან სწავლულები მზის და მთვარის დაბნელებას; მე მგონია, თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს იმათი ახსნა მართალი და ჭკუაზე ახლოა. ჰერ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა მზის დაბნელებაზე.

ჩვენ ვიცით, რომ მზეს თავის საკუთარი სინათლე აქვს და ამ სინათლით სარგებლობს ჩვენი დედა-მიწა, მთვარე და სხვა პლანეტებიც; ამას გარდა ჩვენ შევიტყვით, რომ მთვარე დედა-მიწას გარს უყლის და ესენი (მიწა და მთვარე) ორივე ერთათ უტრიალებენ გარშემო მზესა. ამ გვარ მოძრაობაზე რომ იფიქროს გონიერმა კაცმა, უთუოთ მიხედება—რისგან წარმოსდგება მზის დაბნელება. ახალი მთვარიანობის წინეთ ჩვენ, ორი დღის განმავლობაში, სრულებით ვერ ვხედავთ მთვარეს; რატომა? ამიტომ რომ მაშინ ჩვენსკენ, ესე იგი დედა-მიწისკენ, ის გვერდია მთვარისა მოშვერილი, რომელიც არ არის განათლებული მზის სხივებისაგან; ამნაირი შემთხვევა მოხდება, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა მთვარე მზისა და დედა-მიწის შუა დგას.

სანთლის პირდაპირ რომ დაეჭიროთ ხელში, მაგალითათ, გროში, მაშინ ჩვენ შევხედავთ მარტო დაშტილულ იმის გვერდს: ის გვერდი კი, რომელიც სანთლისკენ არის, განათლებულია. იმისთანა რამ რომ დაეჭიროთ ხელში თვალისა და სანთლის შუა, რომ სანთელი დაჰფაროს, მაშინ, რასაკვირველია, ვერც სანთელს დაინახავთ. სწორეთ ამ ნაირათვე მოხდება ხოლმე მზის დაბნელება: ამ დროს მზისა და დედა-მიწის შუა დგას მთვარე და უშლის მზის სხივების მიწაზე დაცემას; ამის გამო, უეჭველია, მიწაზე დაღამდება, მზე კი მუდამ ისევე ისე ანათებს.—ახალ მთვარიანობის წინეთ რომ მთვარე ყოველთვის პირდაპირ მზისა და მიწის შუა იდგეს, მაშინ, უეჭველია, ყოველ 28 დღის შემდეგ მზის დაბნელება უნდა ყოფილიყო; მაგრამ ეს ასე არ არის, როგორც სწავლულებმა გამოიკვლიეს: თავის მოძრაობის დროს მთვარე ხან ერთი მხრისკენ გაიწევს და ხან მეორესკენა, ასე რომ პირდაპირ მზისა და დედა-მიწის შუა ის იშვიათათ გაჩერდება და როცა კი მოხდება ეს, მაშინ მზის დაბნელება იქნება, როგორც

ზევითა ვთქვით. მთვარე იქით-აქეთ გაიწევს-გამოიწევს იმიტომ, რომ მზესა და მიწის გარდა იმას მიიზიდვენ კიდევ თავისკენ სხვა პლანეტები; მაგრამ, რადგან ეს პლანეტები ისე დიდები არ არიან და იძენი მიზიდვის ძალა არა აქვსთ, როგორც მზესა და მიწას, ამის გამო მაგდენათ ვერ დააშორებენ თავის გზას, მხოლოდ ცოტა მისწივენ ხოლმე თავისკენ და ამ რიგათ არ აყენებენ პირდაპირ მზისა და დედა-მიწის შუა.—

სწავლულები გამოიანგარიშებენ—რა სიშორეზეა მთვარიდან რომელიმე პლანეტი და რა სიდიდე აქვს იმას და ამ რიგათ ისინი მიხედებიან რამოდენაზე მიიზიდავს ის მთვარეს. თუ რომელიმე პლანეტი არ მიიზიდავს მთვარეს, მიწისა და მზის შუაში ყოფნის დროს, და არ გასწევს თავისკენ—მაშინ მოხდება სრული მზის დაბნელება.—

ხანდისხან მთვარე ჩამოეფარება მზეს, მაგრამ სრულიად ვერ დაფარავს იმას და ჩვენ დაინახავთ მხოლოდ მზის გვერდებს; მაშინ მზეს ბეჭდის შესხედულობა აქვს: შუაში, მთვარით არის დაფარული და გვერდები კი ხანან; ამას გარდა ხანდისხან მარტო ცალი გვერდი დაბნელება მზისა, მეორე კი ამ დროს ანათებს. ამ ორი შემთხვევის ახსნა აი რა რიგათ შეიძლება: დაედგათ სანთლისტოლზე და ჩვენს თვალსა და იმის შუა დაეჭიროთ პირ და პირ ხელში რომელიმე მგრავალი ნივთი, მაგალითათ, მუხუდოს მარცვალი; როცა მუხუდოს ახლო მივიტანთ თვალთან, მაშინ თითქმის სრულებით დაფარავს ის სანთლის ალს და როცა მოვაშორებთ თვალს, მაშინ კი დაინახავთ მუხუდოს გარეშემო ბრწყინვალეთ სანთლის ალსა. ამ ნაირათ არის მზის არა სრული დაბნელება; მთვარე თავის ტრიალის დროს ყოველთვის ერთს სიშორეზედ არ იმყოფება დედა-მიწისაგან: ის ხან მიუახლოვდება მიწას და ხან ისევე გამოედება; როცა მიუახლოვდება, მაშინ სრულებით დაბნელება მზე და როცა გიშორდება, მაშინ იმის გვერდებს კიდევ დაინახავთ, როგორც ბეჭედს, ან ურმის თვალს.—ამ ნაირი მზის დაბნელება მოხდა შარშანწინ ფებერვალში; ის ჩნდა ჩრდილოეთის რუსეთში, გერმანიაში და ზოგიერთი სხვა ადგილებიდანაც.—

შენიშნულია, რომ მზის დაბნელება ერთსა და იგივე დროს მიწაზე ყველა ადგილებიდან

არ დაინახება, ასე რომ, ვთქვათ, ჩვენ შორის იყოს მზე დაბნელებული, იმ დროსვე შეიძლება ინდოეთში, ან ჩინეთში ანათებდეს; იმ ნაირი შემთხვევაც შეიძლება, რომ ერთს ადგილას დაბნელდეს მზე, მეორედან იმის გვერდები ბეჭედივით ჩნდეს და მესამე ადგილას კი სრულებით არ მოხდენილიყოს მზის დაბნელება. ამის მიზეზი დედა-მიწის სიდიდეა; ის ორმოცდა ათჯერ მეტია მთვარეზე და, რასაკვირველია, მთვარი შტილის ერთსა და იგივე დროს მთელს მიწას ვერ დაფარავს.—

მაშასადამე აქედგანა სჩანს, რომ თუ, კარგათ იცის კაცმა დედა-მიწისა და მთვარის გზა, შეიძლება მაშინ იმასაც მიხედეს—რომელი ადგილებიდან, და რა დროს დაინახება მზის დაბნელება; აგრეთვე იმის გამოანგარიშებაც შეიძლება,—რა გვარი იქნება ეს მზის დაბნელება: სრული, ნახევარი თუ ურმის თვალისით.

ხანდისხან მზეს, მთვარეს გარდა, სხვა პლანეტებიც ჩამოეფარება, მაგრამ, რადგან ისინი უფრო შორს არიან მიწაზე, ვიდრე მთვარე, ამის გამო ამდროს მზე თითქმის სრულებით არ დაბნელება; ტელესკოპით გამოჩნდება იმაზე მხოლოდ შავ-შავი ლაქები.—

როგორც მთვარის ჩამოფარება დაბნელებს დედა-მიწას, ისე ამ უკანასკნელის ჩამოფარება მზის პირდაპირა დაბნელებს მთვარესაც. როცა მიწა მზესა და მთვარეს შუა არის, მაშინ ერთი გვერდი იმას მზისკენ აქვს მიშვერილი და მეორე მთვარისკენ და ამ დროს ძველი მთვარეც რომ იყოს მაინც ვერ შევხედავთ ჩვენ იმას, მაშინ ის უშლის მზის სხივებს მთვარეზე დაცემას და ამ რიგათ დაშტილავს იმას.—

რადგანაც დედა-მიწა მთვარეზე უდიდესია, ამის გამო იმის შტილიც, რასაკვირველია, დიდი იქნება და სრულებით დაბნელებს მთვარეს.

მთვარის დაბნელებასაც ისე ბეჯითათ გამოიანგარიშებენ ხოლმე სწავლულები, როგორც მზისასა.



ს ა მ ე უ რ ნ ე ო ნ ა წ ი ლ ი.

მრთა ნემეცმა სხოვა „ძაკაზიის მეურ-
ობის საზოგადოებას“ ექესი ათასი მან., 15
ლის ვადით, ძ ე ლ ი ს ს ა ს უ ქ ი ს თ ე ი ს ზ ა -
რ დ ი ს გასაკეთებლათ თბილისში; როგორც
ითონ ამბობს ეს ნემეცი, იმან გააკეთა აქ
ხრასი ფუთი ძელის სასუქი და კიდევაც გა-
და; მაგრამ „მეურნეობის საზოგადოებამ“
ფლეს მიცემასზე უარი უთხრა ნემეცს, იმ სა-
უძელით, რომ ამ ნაირი ზაფადის გაკეთება
თბილისში უდროო იქნებოდა, რადგან ძელის
ასუქის საჭიროება ჯერ აქაურ მეოჯახეებს
რ უგრძნებიათო.—

როგორც თითქმის ყველგან, ისე მ რ ე ვ -
ის გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი ა ც ძალიან იკლო
ბრეშუმის მოსავალმა ჰიის ავთმყოფო-
ობის გამო. წინეთ აბრეშუმისაგან იქაურებს
ძალიან კარგი შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ ეხ-
ლა კი იმის მეოთხედიც აღარა აქვთ. მერო-
ში, საცა აბრეშუმის ავთმყოფობა იყო,
ველი, ნაავთმყოფარი აბრეშუმის თესლი
მოსწყვიტეს და იმის მაგიერ ახალი თესლი
რაშენეს; ამ ახალი თესლიდან ყოველთვის
კეთესი და მომატებული აბრეშუმის მოდის;
მრენის გუბერნიის მცხოვრებლებს კი
უღამ ავთმყოფი თესლიდან მოჰყავთ აბრე-
შუმი და ამის გამო, რასაკვირველია, ის ვერ
მოდის რიგიანათ. შარშანწინ ერთმა იტალი-
ელმა — ძონსონომ მოიტანა აქ იპონიის
თესლი და იმისაგან კარგი ჯანმთელი ჰიები
ამოდიოდნენ, მაგრამ მრევანში ძალიან ცო-
ტა იყიდეს, ამიტომ რომ გირვანქა სამოც მან.
ღირდა; იქაური სომხები ოც-ოც და ხუთ მა-
ნეთათ ჰყიდიან, მართალია, გირვანქა აბრეშუ-
მის თესლსა, მაგრამ ამ თესლისაგან სულ ავთ-
მყოფი და უვარგისი ჰიები გამოდიან. ამ ცო-
ტა ხანში მოიტანეს აქ ხოროსანის გვარის
თესლი და ამისგან ცოტათი უკეთესი მოსა-
ვალი არის.— შარშან ორდუბათის მაზრაში
მოვიდა ათასს შეიდასი ფუთი აბრეშუმი, მაგ-
რამ იათათ გაიყიდა, რადგან ამ დროსვე ბევ-
რი აბრეშუმი მიზიდეს მოსკოვში ბუხარადან
და ჩინეთიდან.

მრთი ნემეცი მეოჯახე იწერება, რომ იმ
ხორბალს, რომელსაც დამწიფება არ აცალეს,
ყოველთვის აკლდება წონაო. ასე რომ მა-

გალითათ, თუ ერთი კოდი მწიფე პური მომ-
კა კაცმა და ერთიც დაუმწიფარი, გახმობის
შემდეგ მწიფეთ მოკრეფილი პური ყოველ-
თვის უფრო მეტს აიწონის, ვიდრე ის, რომ-
მელსაც დამწიფება არ აცალეს.—

როსტოვში პურის მოსავალს კარგს მოე-
ლიან; ამ თვის დასაწყისში დაუწყიათ პურის
მკა; მაგრამ ერთობ მომატებულ სიცივეებს
ამბობენ.— ხილის მოსავალიც ძალიან კარგი
ყოფილა.— ჩეტვერტი პური ცხრა მანეთ
ნახევრათ გადიოდა ამ აგვისტოში.—

მრთს ვახეთში არის გამოცხადებული და-
რიგება-თუ როგორ შეიძლება ციმბირის ჰი-
რით ავთმყოფი ღორების მორჩენა. ავთ-
მყოფი ღორი უნდა ჩასეთ ორმოში და მა-
ნამ უნდა ასხათ ცივი წყალი, სანამ ძაგძაგს
არ დაიწყებს სიცივისაგან და სანამ წითელი
ლაქები ტანზე არ გაულურჯდება. შემდეგ
ამოიყვანეთ ის ორმოდან, კარგათ გაამშრა-
ლეთ და თბილათ გყავდესთ.—

ს ა მ ე ი ო ო ც ნ ო ბ ე ზ ი.

ძ ა ლ ი ს უ შ ვ ი ლ ო ბ ა.

მერას გზით ვერ დააჯერებ ჩვენებურ უშ-
ვილო ქალს, რომ იმის უშვილობაში სრუ-
ლებით არც ღმერთი და არც ხატი არ არის
დამნაშავე, რომ უშვილობისაგან ვერ გაანთ-
ვისუფლებს იმას
. . . ვერც მარჩიელები და ვერც სხვა და სხვა
ნაირი ქვების წელზე შეგბა. მასაკვირველია,
რომ მაგალითებს ჩვენთვის არაფერი მნიშე-
ნელობა არა აქვს: რამდონ უშვილო ქალს
ტყუილ-უბრალოთ დაუეღია ათასი სალოცა-
ვები, რამდენი წამლები უყლაპავს უნაყოფოთ,
მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან და
ზემოსხენებული საშუალებებით უნდათ უშვი-
ლობისაგან განთავისუფლება!

ზამოჩენილი ექიმების გამოკვლევით, უშვი-
ლობის მიზეზი თვითონ ქალისა და ხან კა-
ცის სიშვილოსნო ნაწილებია; ასე რომ, ვისაც

უშვილობისაგან განთავისუფლება სურს,
მიჰმართოს რომელიმე ნასწავლ ექიმსა და
გამოაკვლევინოს ეს საშვილოსნო ნაწილები;
თუ გამოცდილი ექიმია, ის ყოველთვის მია-
გნებს უშვილობის ნამდვილს მიზეზს და,
თუ შესაძლოა, კიდევაც მოარჩენს; სირცხვი-
ლი ქალის მხრით ამისთანა საქმეში სრულე-
ბით უადგილოა.—

უშვილობის წამლობაში გამოჩენილი ექი-
მი ს ი მ ს ი ამბობს, რომ მე ორნაირი უშვი-
ლო ქალები მინახავსო: ზოგს სრულებით არ
ჰყოლია თავის დღეში შეილი და ზოგს კი
ერთი, ორი ან სამი შვილის შემდეგ უეცრათ
მოსპობიათ შვილოსნობა საშვილოსნო ორ-
განების მოშლის გამო.—

ხ ო ლ ე რ ა ს პ ა რ ს ე თ შ ი დ ა ი მ ი ს
მ ო ს ა ს პ ო ბ ე ლ ა თ ზ ო მ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა
ფ რ ა ნ ც უ ზ ე ბ ი ს მ მ ა რ თ ე ბ ლ ო ბ ი ს ა -
გ ა ნ .— ამას წინეთ სწერდნენ ვახეთებში, რომ
სპარსეთის დედა—ქალაქში—თეირანში ისე
გახშირდა ხოლერა, რომ დღეში ასი კაცი
კვდებაო; ახლა კი ეს ჰირი შემცირებულა,
თუმცა სრულებით ჯერაც არ მოსპობილა.—
ხოლერა სპარსეთიდან მოედება ხოლმე ყო-
ველთვის ძასპიის ზღვის პირებს, იქიდან გა-
რდადის რუსეთში და აქედან მთელს მერო-
პაში ვრცელდება. შრანციის მმართველობამ
გამოგზავნა წელს სპარსეთისაკენ ერთი სწავ-
ლული ექიმი—პრუ შესატყობლათ—თუ რა
მიზეზისაგან ჩნდება სპარსეთში ხოლერა და
იმის გავრცელების მოსასპობლათ; პრუმ უნდა
აღმოაჩინოს ისეთი საშუალებები და ზომები,
რომ შემდეგში აღარ გარდავიდეს ხოლერა
მეროპაში. ლოქტორი პრუ პირდაპირ პეტე-
რბურღში მივა, იქიდან ასტრახანში (ძასპიის
ზღვის პირზე), დახედავს იქაურ კარანტინებს



და ზღვის ნაპირებს; აქედან ზღვით მოვა ბაქოში, ბაქოდან რემტს და რემტიდან უნდა წავიდეს თეირანს, და სპარსეთის მმართველობას უნდა ურჩიოს, რომ იმანაც მიიღოს ჯეროვანი ზომები ხოლერის მოსპობისათვის.— პრუ დაბრუნდება თეირანიდან ისევ ძავეკასიაში, მოვა თბილისში და აქედან შოთით სტამბოლს წავა.—

არასოდეს არ უნდა ამოიგლიჯოთ ცხვირის ნესტოებიდან თმაო, ამბობს ერთი სწავლული პიორრი. ნესტოებში თმა იმიტომ არის სასარგებლო, რომ არ მიაკარებს ცივ ჰაერს და წყალს (პირის დაბანის დროს) პირდაპირ ცხვირის ტყავს, რომელიც ძალიან გრძობიარე და ნაზია და რომლის გაცივებისაგან წარმოსდგება ხოლმე ხშირათ სურდოები და ცხვირის ანთება.—

ახალი სწავლა სპარსეთში.

მრთს ფრანკოზულს ჟურნალში არის დაბეჭდილი სტატია, სახელად „ახალი სარწმუნოება აზიაში“, რომელშიაც მოყვანილია რამდენიმე ცნობები სპარსეთის ახალ მქადგებელზე—ზაბზე და იმის მომხრეებზე. ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდონსამე ადგილს ამ სტატიიდან:

„შირზა ალი-მაჰმადი, რომელმაც დააფუძნა ახალი ერესი სპარსეთში, ძლიერ შესანიშნავი პირი არის; ის იყო ქ. შირაზიდან და გაიზარდა შერბელის სასულიერო სასწავლებელში. 1843 წ. იმან გაათავა სწავლა და წავიდა მამას ალის საფლავის თაყვანის საცვათ. (ალი, შიიტების სარწმუნოებით, წინასწარმეტყველის ნამდვილი მემკვიდრეა). დაბრუნდა თუ არა თავის სამშობლო ქალაქში—შირაზში, ალიმ გამოსცა „ქორანის მანმარტება“, რომელშიაც გამოსთქვა ბევრი თავისუფალი აზრები და მოლოცების წინააღმდეგ ლაპარაკობდა. ამ მოლოცებთან უთანხმოებამ აღძრა მთელი შირაზი; საზოგადოებამ ალის მხარე დაიჭირა, ასე რომ იმის მომხრეების რიცხვი თან-და-თან მატულობდა; ამ დროს იმან დაირქვა სახელად ბაბი, რომელიც სპარსულათ ნიშნავს „საცხოვრებელ კარებს“. მოლოცებმა მიჰპარტეს მმართველობას და თხოულობდენ მოესპოთ ახალი სწავლა, ერესი; მმართველობამ ჯერ მაგდენათ არ მიაქცია ამ

საქმეს ყურადღება, მაგრამ ცოტახნის შემდეგ მოსწერა შირაზის ლებერნატორს, რომ დაეტუსალდებინა ბაბი. ამ შემთხვევამ გააჩუმა ბაბი, მაგრამ მის მაგიერ გამოჩნდენ სამნი მქადგებელნი ამ ახალი ერესისა ბაბის მოწაფეებში: ერთი იყო მოლლა ჰუსეინი-ძალიან ჭკუიანი და მაგარი ხასიათის კაცი, მეორე ჰაჯი-იმამ-აღლი-ბაღფურუში, რომელსაც ხალხში იცნობდენ კეთილისმოყვარე და უბიწო ცხოვრების კაცათ და მესამე ერთი ახალგაზდა მშვენიერი ქალი, სახელათ ზერინ-თადი, რომელიც იყო ძლიერ შესანიშნავი, სილამაზეს გარდა, თავის ჭკუითა და ხასიათით.—1848 წ. მოკვდა შაჰი; სპარსეთში ჩამოვარდა არეულობა და ბაბი და იმის მომხრენი ამ დროს თავისუფლათ ავრცელებდენ თავის სწავლას. მაგრამ მალე ახალი შაჰი ნასრედინი დაჯდა ტახტზე და დაუწყო იმათ სასტიკი დევნა; ბაბი, როგორც მოთავე ამ ერესისა, მოიხმეს თავრიზში მოლოცების წინ გასამართლებლათ. ბაბმა მშვენიერათ დაიცვა თავის სწავლა და სასამართლოში მშვენიერათ ლაპარაკობდა, მაგრამ იმის ბედი წინათვე იყო გარდაწყვეტილი: იმას დაორს იმის მომხრეებს, რომლებიც აგრეთვე დატუსალდებულენ იყვნენ, გარდაუწყვეტეს სიკვდილი. ბაბს და ერთს იმის მოწაფეს გაუყარეს ილიებში თოკი, ჩამოუშვეს მაღალი კედლიდან და ამ ნაირათ ჩამოკიდებულს ესროლეს თოფები; მაგრამ, გასაკვირველია, რომ ტყვიებმა გაკვეთეს მარტო თოკი და ბაბი უვნებელათ ჩამოვარდა ძირს; მოწაფე კი მკვლარი დაეცა იქვე. ამ შემთხვევას საშინელი შთაბეჭდილება ჰქონდა მაყურებლებზე და სალდათებზე, მაგრამ ცოტახნის უკან ის დახვრიტეს იქვე მიწაზე და შუბებით გაგვირეს. ახალგაზდა ქალს ზერინ-თადის გარდუქრეს კოცონზე დაწვა. როცა მიჰყავდათ დასაწველათ, მშვენიერს პირის სახეზე ჩამოაფარეს პირბადე, რომელსაც თავის სიკოცხლეში არ ხმარობდა, როგორც იმათი ჩვეულება მოითხოვს.—ბაბის მემკვიდრეთ დანიშნეს თექვსმეტი წლის ყმაწვილი-მეზრეტ მზელი, რომელიც გაიქცა ბაღდადში და იქ ძლიერ გაავრცელა ბაბის ახალი სწავლა.—

სხვათა შორის ბაბის სწავლა თხოულობს ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებას; ამის გამო, იმათი სწავლით, ბევრ-ცოლობა აღკრ-

ძალუღია, რადგან ბევრ—ცოლობასთან ქალებების მოწობა აუცილებელია.

სხვა და სხვა ამბავი

შინულის საკეთებელი მაშინა. შოველთვის, როცა რომელსამე სველს ნიეთს ორთქლი ასდის, ის ცივდება ხოლმე; დასიველეთ, მაგალითათ, თითი და გაიშვირეთ გარეთ ქარის დროს; თქვენ შენიშნათ, რომ თითი შრება, იმის სისველე ორთქლათ იქცევა და ზევით ადის; ამის გამო თითი გაგიცივდებათ ხოლმე. (ამ ნაირათ შეიძლება შეიტყოს კაცმა—რომელი მხოლიდან ჰქრის ქარი: რომელი მხრისაკენაც გაგიცივდებათ დასველებული თითი, ქარიც; უეჭველია, იქიდან ჰქრის). ორთქლის ადენის დროს სიცივის გაჩენაზე დაფუძნებული ყინულის საკეთებელი მაშინა, რომელიც ძალიან უბრალოთ არის მოწყობილი: უბრალო ბოთლზე არის გაკეთებული ჰაერის საქანელი, ტუმბო (ჰაერის ნასოსი); ამ ბოთლში ჩაასხმენ წყალს ნახევრამდი და ტუმბოთი ამოსწევენ ბოთლიდან ჰაერს ისე, რომ შიგ სულ არ დარჩეს ის; გამოიღვეთ თუ არა ბოთლში ჰაერი, წყალი იმ წამსვე დაიწყებს ორთქლის ადენას და ამის გამო ისე გაცივდება, რომ ცოტა ხნის შემდეგ ყინულათ იქცევა.—მს მაშინა ამ უკანასკნელს დროში გამოიგონეს; რადგანაც ის უფრო ჩქარა აკეთებს ყინულს (ოთხს მინუტში ორ ბოთლს წყალს გარდააქცევს ყინულათ) და იაფათაღ ღირს (თხუთმეტ მანეთათ), ამის გამო, უეჭველია, სადაც ამ მაშინას შემოიღებენ ზაფხულში ყინული გაიფდება.—

ბერმანიაში და საზოგადოთ მთელს მეროპაში ძალიან განშირებულია „ერთმანეთის შემწეობის საზოგადოებები“; ამნაირი საზოგადოებები განსაკუთრებით გავრცელებულია მუშა ხალხში. რამდონიმე მუშა შეიკრიბებიან ერთათ, გამოიღებენ შეძლებისა დაგვართ ფულს და შეადგენენ თანხას; გაჭირების დროს ყოველს ამ საზოგადოების წევრს შეუძლია ისარგებლოს ამნაირათ შეკრებილი ფულებიდან პატარა სარგებლით. ამას გარდა, თუ საქმე კარგათ მიდის, საზოგადოება ადებს დუქნებს, რომლებშიაც იყიდება იაფათ ყველაფერი, რაც აუცილებლათ ეჭირებათ მუშებს, მაგალითათ: პური, ფქვილი, კარტოფილი,



არლი, ტანისამოსი და სხვ. მოველ წელი-
 ადს საზოგადოების საქმის მმართველები ად-
 ივენ ანგარიშს წვევებს და რაც მოგება
 ჩება ვაჭრობიდან, ან შემოსული სარგებ-
 იდან ყველანი თანასწორათ იყოფენ.—
 ბაზე-
 ებში არის ახლა გამოცხადებული ამ ნაირი
 ერმანის „საზოგადოებების“ ანგარიში, რო-
 ლიდანაც ვტყობილობთ, რომ იქ შარშან
 რფილა სულ ორი ათას ექვსასი „ერთმანე-
 ის შემწეობის საზოგადოება“ და ერთი მილი-
 ანი წვერი; წლის განმავლობაში იმათ ორასი
 ილიონი ფული დაუბრუნებიათ. საკუთრათ
 ი ჰქონიათ თხუთმეტი მილიონი თანხა!
 ნდა იცოდეთ, რომ ამოდენა ფული თითქ-
 ის კაპეიკობით არის შემდგარი.—

პეტერბურღის კორრესპონდენტი გავ. „მოს-
 ლის უწყებებისა“ სწერს, რომ ხელმწიფე
 მპერატორმა 14 აგვისტოს მისცა ნება სახა-
 ლხო შკოლის გახსნისა ბალტიის ზღვის პირა
 ტბერნიების მცხოვრებლებს გლეხკაცების
 ანთავისუფლების სახსოვრათ. ამ უმაწილე-
 ის შკოლას ერქმევა სახელათ „ალექსანდ-
 რის შკოლა“.—

„რიგის მოამბეში“ სწერენ, რომ შრანცი-
 ში პროფესორს მუშოს გამოუგონია ისეთი
 ორთქლის მაშინა, რომელიც მოდის
 მოძრაობაში მზის სხივების სითბოთი და არა
 ანაშირის, ან შემის შემწეობით; მაშინა იმ-
 დონათ ათბობს წყალს, რომ იმას ორთქლი
 ასდის ხოლმე; იმის შემწეობით პროფ. მუშო
 აცხობს პურს, კვერცხებს და კარტოფილს
 ხარშავს და ზოგიერთ საქმელებსაც ამზა-
 დებს.—
 რალა ლაპარაკი უნდა, რომ, თუ ეს
 აზრი მოიყენეს სისრულეში და თუ მაშინა
 იმოდენათ გააუმჯობესეს, რომ კაცს შემის მა-
 გიერათ შეეძლოს მზის სითბოთ სარგებლობა,
 ამას ძალიან დიდი გავლენა ექნება კაცობრი-
 ობის კეთილდღეობაზე. საცა უფრო ცხელა
 იქ, რასაკვირველია, უფრო მალე მიადწევენ
 მიზანს, რადგან იქ მზის სხივებს უფრო მო-
 მატებული სითბო აქვთ.—

ქება შრომას.

მინც მუღამ მიწასა ჩეჩავს,
 ან ჩაქუჩით ქვას ამტვრევს;
 მინც კალოზე პურს ლეწავს
 და ლუქმა პურს თავს აჭმევს,

აფერუმ მისსა შრომას,
 ქება იმის ოფლის წვეთს;
 ქება მის მუშურსა ხმას
 და მის მარტოხელსა ბედს!

მინც გუთანს მისდემს ოფლით
 და მუშურს ალიდინებს;
 მინც ტვირთითა და ოხვრით
 ცოლ-შვილს ძლივ მოაპურებს,

აფერუმ მისსა შრომას,
 ქება იმის ოფლის წვეთს;
 ქება მის მუშურსა ხმას
 და მის მარტოხელსა ბედს!

არ დაგავიწყდეთ ისიც,
 მინც ჰკუთა მუშაობს,
 მაგრამ, სოფლის მხთალობით,
 ლუქმა პურსაც ძლივ პოობს.

აფერუმ ყოველ შრომასა,
 ქება ყოველს ოფლის წვეთს;
 ქება მუშის მუშურსა ხმას
 და მათ მარტო ხელსა ბედს!

მ. შალაღიღელი.

1868 წ. ქუთაისს.

ახალი დროს ოცნება.

ბევრჯელ ვფიქრობ მე იმაზე —
 რისთვის მინდა მე სიცოცხლე;
 ქვეყანაზე რას მოველი,
 რას მაშინებს მე სიკვდილი?

რაც უნდა ჩვენ მას ვებრძოლოთ,
 სიბრძნის ძალა მოვიხმაროთ,
 ის თავისას არ დაიშლის
 და ყველას ბოლოს ის გველის.

ბევრი არიან სოფელში
 ძლიერნი, საესე დიდებით,
 რომელნიც სცვლიან თვის ძალით
 საქმეებს მთელს ქვეყანაში.

მაგრამ სიკვდილის მძლეველი
 მერსად ვნახე, არ სად არი...
 მგონებ, ეცხოვრებ მისთვის, რომე
 ან დღეს, ან ხვალ უნდა მოვედდე!

მაშ სოფელი მე რათ მინდა,
 თუ იმასა ვგრძნობ კარგათა,
 რომ დღეს, ან ხვალ უნდა მოვედდე
 და ქვეყანას დაგავიწყდე.

ამ დროს ფიქრში გამიარა
 შეცრათა ერთმა აზრმა...
 ბამაღვიძა, შემაფიქრა,
 აღმიტაცა სიხარულმა.

ბული ამესო იმედით,
 ჩემს თავს უთხარ დაცინებით:
 — შებედურო, რას დალონდი,
 სულით, ხორციოთ რას მოეფიქ!

— აგრე როგორ დაგავიწყდა,
 რომ ქვეყანა უკვდავია;
 და, თუ ვხედავთ, ერთი კვდება,
 სხვა ხომ ნაცვლად იზადება!

თუ ჩაფიქრდებით კარგათა —
 არა ვისი სიკვდილითა
 არ აღქმებს არა რასაც,
 სცვლის მხოლოდ საგნის სახესა.


როდესაც ვინმე მოკვდება,
 მაშინ ყველა ის სტიხია,
 რომლითაც არს შედგენილი;
 მისი სისხლი, ხორცი, ძვალი,

შპირველესა თავისსა
 მიიღებს იგი სახესა.
 რაც უნდა მრავალი მოკვდეს,
 ქვეყანას არას დააკლებს.

რიგი მიდის, რიგი მოდის,
 სუფევს ბუნება მარადის,
 სუფევს კაცობრიობაცა,
 მისი სოფლის უფლებაცა.

მაგრამ, ჩვენ საუბედუროთ,
 ბევრნი ვწუხნართ, ბელს უჩივით;
 თუმც ყველაზე ვმეფობთ ჰკუთით,
 მაგრამ, რომ მიმოვიხილოთ,

დავინახეთ — ყველგან არი:
 შიქრი და უფიქრელობა,
 მუშაკობა — ზარბაცობა,
 შაება და სიხარული.



აქ შევხედებით დიდა კაცსა
ამ სოფლისა ნებიერსა;
ლონის-ძიებით საესესა,
შეჯერელსა, უფიქრელსა.

შეიკრობს შექცევაზე მხოლოდ,
შუღლებს ჰუნტავს უსარებლოდ,
არ იმეტებს არც ერთსა გროშს,
რომ დაერდომილს შეეწიოს.

აქვე ვნახავთ სულ ღარიბსა,
მუდამ მტირალს, დანაგრულსა,
და რომ ჰკითხოთ: „სტირი რასა“
ის მოგივებთ ამ ზასუსსა.

„შინ მიტირიან შეიღებენ—
მუდამ მშიერნი—შიშველნი,
თვალის სინათლე და ჯანთა
სუთ მელევა მე შრომაში.“

მაგრამ ეს არს ბედი ჩემი—
რაც უნდა ვიშრომო ბევრი,
ძლიერ ვიშოვი ლუკმა პურსა,
ნაანეგარ-დღისა საზრდოსა.

რადგანაც კაცობრიობა
არას ღროს არ მოიშლებს,
იმას მაინც ჩვენ ვეცადეთ,
ცხოვრება გავადვილოთ.

ბუნება უხვად შეიცავს
ჩვენ საზღოდ ღონისძიებას,
მაგრამ, ჩვენის უმეცრებით,
სარგებლობა ჩვენ არ ვიცი.

ჩვენ ქვეყნის სიკეთისთვისა
სწავლა ხალხში გავავრცელოთ;
როგორც უნცროსს ძმას—გღვებკაცსა,
ისე სხვასაც ჩავაგონოთ.

რომ კაცის კეთილდღეობა
მართო ერთის სიმდიდრითა,
სულაც ვერ მდიობება,
რადგან მდიდარსაც ხშირათა

ბაჭირგება მიადგება,
და, თუ იმისი მოყვასი

არის ღარიბი, ბედ-კრული,
მას როგორ მოეხმარება!

დაუფიქრდეთ ჩვენსა ბედსა,
ჩვენს უბედობის მიზეზსა;
და მოვიპოვოთ წამალი,
რომ მოვსოთ ბედ-კრულობა.

შლონოს მივსცეთ ჩვენ ძალი,
„უსახლოს სახლი და კარი;
მიზრუნოთ—მოვსოთ რითიმე
სიზარმაცე, სიღარიბე.“

შველა უნდა იქალოდეს:
სხვისა შრომას არა ვჭამო,
სარგებლობა ქვეყნისათვის
სხვაზე ნაკლებ არ მომაქვსო.

მიკი, ძნელია ამ აზრის
აღსრულებაში მოყვანა,
ჩვენ მოგვინდება ამისთვის
დიდი შრომისა გაწევა;

მაგრამ, დიდის სურვილითა,
შროთ-ერთის შეწვევითა,
მისსა მცირედსა ნაწილსა
ხომ ავასრულებთ მაინცა.

ჩვენ შემდეგ სხვაც შეუდგება
ამ საქმის წარმატებასა
და ჩვენი შთამომავლობა
დაავიგრივინებს იმასა.

მცირედი შემწეობაცა
მეიასლოებს კეთილ დღესა,
როგორც ამბობს ეს ანდაზა:
„ცარი ცვარს ჰკარ, ზღვათ იქცევა.“

ცვარი ზღვაში თუმც არა სჩანს,
მაგრამ დაუკარგავია;
ასე მცირე სიკეთეცა
მარად დაუვიწყარია.

მისაც-კი სიკეთის თესლი
ჩაუგდია ბედის ჯამში,

მასხედ, მითხარით, ვინ იტყვის,
რომ ის მკვლარია ქვეყნისთვის,
დარია მამაცაშვილი.
25 აგვისტოს, 1869 წ.
თბილისი.

ფოჩტა

თბილისიდან ფოჩტა მიდის: ო რ შ ა ბ ა -
თ ო ბ ი თ ქ რ ე ვ ა ნ შ ი და ჯ უ ლ ფ ი ს ა კ ე ნ . — ს ა მ -
შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბ ა ქ ო ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი და შე -
მ ა ხ ა შ ი — მ ს უ ბ უ ქ ი ფ ო ჩ ტ ა . — ო თ ხ შ ა ბ ა თ ო -
ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი, მ ლ თ ა ი ს შ ი — შ ო თ ა მ დ ი ნ , ქ რ ე -
ვ ა ნ შ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ბ ო ლ შ ი და ნ ო ვ ო ბ ა ი ა ზ ვ ე თ -
შ ი . — ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი . —
პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ — მ ლ თ ა ი ს შ ი, ძ ა ნ ე თ შ ი და
ქ რ ე ვ ა ნ შ ი . შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რ უ ს ე თ შ ი და
შ ე მ ა ხ ა შ ი . — ძ ე რ ა ო ბ ი თ რ უ ს ე თ შ ი და
მ ლ თ ა ი ს შ ი .

ტელეგრაფი

ღვეშის გასაგზავნი ფასი თბილისიდან:
მლთაისში, ბაქოს, ვლადიკავკასს, ორბი-
რს, შოთს, ქრევენს, ახალციხეს, ნუ-
ხას, შემახიას—1 მან. ასტრახანს, შერჩში,
მოსკოვს და ოდესას—2 მან.—ზორს, სი-
ლნალს—50 კაპ.—ბეტერბურლს, ჭენეფას, სტამ-
ბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—
3 მან. და 38 კაპ.

სამაჰრო ცნობები

1 ოქტომბერს იქნება ქ. ოზურგეთში ვაჭრობა
ხორცის მიზიდვაზე 1870 წ. მე 20 კავკასიის ბატა-
ლიონისთვის; ვაჭრობაში გარევის მსურველს უნდა ჰქო-
ნდეს სარწმუნო გირაო და უნდა მიმართოს ოზურგე-
თის ჯარის ნაჩაღნიკის კანცელარიაში.

მომრიგებელი მოსამართლე მლთაისის გუბერნიის
ოზურგეთის განყოფილებისა მოიწვევს შემკვიდრებს
ზუგდიდის უფლის მცხოვრებელი ძირისტესია მეჯავასას,
რომელიც გარდაიცვალა 1868 ოქტომბერს, სოფელს
ჩოჩხათში ოზურგეთის უფლებში, რათა იმათ განაცხა-
დონ რომელსამე სასამართლოში თავიანთი უფლება იმის
შემდეგ დარჩენილს მოძრავსა და უძრავს ქონებაზე იმ
ვადით, რომელიც ამისათვის არის აღნიშნული 1241
მუხლში სამოქალაქო წესდებულების მეათე ტომში.
(მალა ექვსი თვეა გამოცხადების შემდეგ).